186/2
1975

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6

ნოემბერი—დეკემბერი

1975 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6 ნოემბერი-დეკემბერი 1975 წ.

12.958

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

79. „დასეტყვისაგან ვენახების დაცვის ახალი მეთოდების საწარმოო გამოცდილების ორგანიზაციის შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 7 ოქტომბრის № 627 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

80. მხატვრული ლიტერატურის დარგში მთარგმნელობითი საქმიანობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

81. საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის გაუმჯობესებების შესახებ

82. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის საბჭოს შექმნის შესახებ

83. სამკურნალწამლო მცენარე ხარისშუბლას ბუნებრივი რესურსების დაცვისა და კვლავწარმოების გაუმჯობესების შესახებ

84. „ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 ივლისის № 464 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

85. მიწით სარგებლობის უფლებაზე სახელმწიფო აქტების მიწათმოსარგებლეთათვის მიცემის შესახებ

86. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კიდული საბაგირო გზების განვითარებისა და ექსპლუატაციის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

87. საავტომობილო გზების გასხვისების ზოლის მიწების გამოყოფისა და გამოყენების წესის ინსტრუქციის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

88. საქართველოს სსრ ქვანახშირის მრეწველობის კომბინატის სისტემიდან ტორფის სასუქების საწარმოების რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკისათვის“ გადაცემის შესახებ

89. საქართველოს პროფკავშირულ-კოოპერაციული ნებაყოფლობითი სასოფლო სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის“ წესდების დამტკიცების შესახებ

90. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

79 „დასეტყვისაგან ვენახების დაცვის ახალი მეთოდების საწარმოო გამოცდილების ორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 7 ოქტომბრის № 627 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შექმნილია სპეციალური ჯგუფი დასეტყვისაგან ვენახების დაცვის ხერხების შესამუშავებლად, ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 7 ოქტომბრის № 627 დადგენილების 1-ლი პუნქტის მესამე აბზაცი დასეტყვისაგან ვენახების დაცვის ტექნიკურ საშუალებათა გამოკვლევის სექტორის შექმნის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1975 წლის 9 დეკემბერი № 729

80 მხატვრული ლიტერატურის დარგში მთარგმნელობითი საქმიანობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში განუხრელად იზრდება თარგმნილი მხატვრული ლიტერატურის ხვედრითი წონა, რაც დადებითად მოქმედებს მშრომელთა სულიერ და იდეურ გამდიდრებაზე. ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით მათ აღზრდაზე. ქართველი, აფხაზი, სამხრეთ ოსეთის მწერლების ნაწარმოებთა, სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების პროპაგანდისა და პოპულარიზაციისათვის დიდ მუშაობას ეწევიან რესპუბლიკური გამომცემლობანი. ზოგიერთი თარგმნილი ნაწარმოები მნიშ-

ვნელოვანი ლიტერატურული მოვლენა გახდა, დიდი რეზონანსი ჰქონდა რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში.

ამასთანავე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ მშრომელთა სულიერ ცხოვრებაში თარგმნილი მხატვრული ლიტერატურის როლის შემდგომი ამაღლების ინტერესები მწერალ-მთარგმნელებსა და პრესის მუშაკებს უსახავენ ახალ დიდმნიშვნელოვან ამოცანებს, რომელთა გადაჭრა შეუძლებელია მხატვრული თარგმანის დარგში ერთიანი პოლიტიკისა და მიზანდასახული საქმიანობის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის განუხორციელებლად. ასეთი სისტემის უქონლობა იმას იწვევს, რომ სათარგმნად ნაწარმოებთა შერჩევა, ასევე მთარგმნელთა და რედაქტორთა შერჩევა, ხშირად ხელაღებით ხდება.

ბევრი თარგმანი ორიგინალის არსში ჩაწვდომის სიღრმითა და შესრულების ხარისხით არ შეესაბამება მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნებს.

საგრძნობია საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების მთელი რიგი ენებიდან მთარგმნელთა კადრების მწვავე ნაკლებობა. რესპუბლიკაში შექმნილი არ არის ახალგაზრდა, პერსპექტივიან მთარგმნელებთან მუშაობის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა.

ბწკარედების მომზადებას ხშირად ანდობენ ნაკლებკომპეტენტურ პირებს, შეიმჩნევა სათარგმნი ნაწარმოებისადმი თვითნებური უდარდელი მიდგომის ფაქტები.

ზოგიერთი საიუბილეო და ანთოლოგიური გამოცემა ხორციელდება ნაჩქარევად, იმ საგულდაგულო სამეცნიერო-ორგანიზაციული და შემოქმედებითი მუშაობის გაუწევლად, რაც საჭიროა მსგავს გამოცემათა ნამდვილად მაღალი ლიტერატურული დონის მისაღწევად.

თარგმანის ხარისხის ანალიზის შემცველი რეცენზიები იშვიათად ქვეყნდება, ხშირად კი შესრულებულია დაბალ დონეზე.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს არასწორად მიაჩნიათ, როცა საგამომცემლო გეგმები სტიქიურად დგება, მთლიანად დამოკიდებულია ცალკეულ ავტორთა და მათ მთარგმნელთა ინიციატივაზე. ეს ხშირად იწვევს ამა თუ იმ ლიტერატურული მოვლენის შეუფასებლობას ან გადაჭარბებით შეფასებას.

აღნიშნული ნაკლოვანებანი გარკვეულწილად ახასიათებთ რუსულ და სხვა ენებზე რესპუბლიკაში თარგმნილ ლიტერატურულ ნაწარმოებებსაც. უკანასკნელ დროს ქართული საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები ჯეროვან ასახვას არ პოულობენ გამომცემლობათა გეგმებში რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, მაშინ როცა ქართველი მკითხველისათვის ნაკლებად ცნობილ ნაწარმოებებს ეთმობათ საკავშირო ასპარეზი. ეს იწვევს საბჭოთა მკითხველების არასწორ ორიენტაციას ქართული მხატვრული ლიტერატურის ტრადიციისა და თანამედროვე დონის საკითხებში.

მხატვრული თარგმანის საქმეში არსებითი ხარვეზები, სრულფასოვანი ლექსიკონების, საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და სამეცნიერო-საინფორმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციო ლიტერატურის უკმარისობა, ის ფაქტორი, რომ მთარგმნელთა კადრების მომზადებასა და მხატვრული თარგმანების გამოცემას დაქსაქსულად ეწევიან სხვადასხვა სამინისტროებისა და დაწესებულებების საქვეუწყებო ორგანიზაციები, არ ხორციელდება კოორდინაცია, თანამიმდევრული, მიზანდასახული ლიტერატურული კონტაქტები და კავშირურთიერთობა, რაც მხატვრული თარგმანის მთელი შემოქმედებითი პროცესის დიდმნიშვნელოვან მხარეს შეადგენს, — ყოველივე ეს ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის თარგმნილი მხატვრული ლიტერატურის დარგში სუბიექტივიზმის, პროტექციონიზმისა და სხვა ნეგატიური მოვლენების წარმოსაშობად.

ითვალისწინებენ რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის ხალხთა მჭიდრო შეკავშირების, საერთაშორისო ურთიერთობაში მშვიდობიანი თანაარსებობისა და კულტურული თანამშრომლობის პრინციპების განვითარების პირობებში მთარგმნელობითი საქმიანობის დიდ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას, საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ მხატვრული თარგმანის დარგში უნდა დამყარდეს მტკიცე სახელმწიფოებრივი წესრიგი, წარმოებდეს შეურიგებელი ბრძოლა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში სუბიექტივიზმის, პროტექციონიზმისა და ხალტურის გამოვლინებათა წინააღმდეგ. ჯერ კიდევ ნელა წარმართავს მუშაობას საქართველოს მწერალთა კავშირთან 1973 წლის დეკემბერში შექმნილი მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგია, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ერთიანი პოლიტიკის განხორციელება თარგმნის დარგში, კომპლექსურად გადაჭრას თარგმნილი ლიტერატურის გამოსაცემად ინფორმაციის, დაგეგმვის, კოორდინაციისა და რეკომენდაციის საკითხები, ერთი მხრივ, თარგმანის ობიექტების მეცნიერულ შესწავლასთან, კვალიფიციური ბწკარედების მომზადებასთან და მხატვრული თარგმანის ორგანიზაციასთან დაკავშირებული და, მეორე მხრივ, მთარგმნელთა მომზადებასთან და კვალიფიკაციის ამაღლებასთან, ავტორთა და მხატვრული თარგმანის სპეციალისტთა შორის შემოქმედებითი კონტაქტების დამყარებასთან დაკავშირებული შემოქმედებითი და ორგანიზაციული საკითხები.

განვლილ პერიოდში კოლეგია ორგანიზაციულ-სტრუქტურულად სტაბილური გახდა, განსაზღვრა თავისი მუშაობის პრაქტიკული ფორმები და მეთოდები. მაგრამ დღემდე არ დაუმყარებია ჯეროვანი კონტაქტი გამომცემლობათა სამთარგმნელო განყოფილებებთან. თარგმანის პრობლემათა მეცნიერულ შესწავლასთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან და უწყებებთან.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა თარგმნილ მხატვრულ ლიტერატურას მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური, ინტერნაციონალური და ესთეტიკური აღზრდის საქმეში, ხალხის კულტურის განვითარებაში, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. თავმოყრილ იქნეს საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულ მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარ სარედაქციო კოლეგიაში თარგმნილი ლიტერატურის გამოსაცემად ინფორმაციის, კოორდინაციისა და რეკომენდაციის, ლიტერატურული კავშირურთიერთობის საკითხები, შემოქმედებითი და სამეცნიერო-ორგანიზაციული საკითხები მხატვრული თარგმანის დარგში მტკიცე სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარებისა და შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად ერთიანი პოლიტიკის განხორციელების მიზნით.

ამიერიდან კოლეგიის ურთიერთობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის გამომცემლობებთან იმგვარად წარიმართოს, რომ რესპუბლიკაში მთარგმნელობითს საქმიანობას მიეცეს გეგმიანი, იდეურ-პოლიტიკური მიზანდასახული ხასიათი, რაც უზრუნველყოფს საბჭოთა და მსოფლიო მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთა გამოცემას ქართულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე ერთიანი გეგმის მიხედვით. ყოველმხრივ შეუწყოს ხელი სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა ენებზე რესპუბლიკის ლიტერატურის მაღალმხატვრული ნიმუშების თარგმნას.

დაეკისროს აგრეთვე მთავარ სარედაქციო კოლეგიას პასუხისმგებლობა ალმანახ „საუნჯის“ გამოცემისათვის გამომცემლობა „მერანთან“ ერთად.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, მისმა გამომცემლობებმა:

— მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარ სარედაქციო კოლეგიასთან ერთად დასახონ და განახორციელონ ამ დადგენილების შესაბამისად ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ გამომცემლობათა თარგმნილი მხატვრული ლიტერატურის რედაქციების მუშაობის პრაქტიკაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, უზრუნველყონ ხანგრძლივი პერიოდისათვის გაანგარიშებული საგამომცემლო გეგმების მიზანდასახული, ღრმად მოფიქრებული შედგენა, რომლებიც გაითვალისწინებენ თარგმნილი ლიტერატურის მნიშვნელობასა და მასშტაბურობას, რესპუბლიკის მშრომელთა გაზრდილ ესთეტიკურ მოთხოვნებს, მთავარი სარედაქციო კოლეგიის რეკომენდაციებს;

— დაწესდეს, რომ გამომცემლობანი, მთავარი სარედაქციო კოლეგიის მიერ მომზადებულ ნაწარმოებთა გამოსაცემად გეგმების შედგენისას ყოველწლიურად, მოყოლებული 1977 წლიდან, გამოყოფენ საერიცხვო-საგამომცემლო თაბახების შემდეგ მოცულობას: „მერანი“ — არანაკლებ 200 (ალმანახ „საუნჯის“ გამოცემის ჩათვლით), „საბჭოთა საქართველო“ — 100, „განათლება“ — 100, „ნაკადული“ — 100 თაბახისა.

— მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის მიერ მომზადებული წიგნები გამოსცენ აუცილებლად შესაბამისი დამოწმებით.

3. საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულმა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ:

— შეადგინოს 1976 წლის ბოლომდე ქართულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე თარგმნილი მხატვრული ლიტერატურის გამოცემის გეგმა, აგრეთვე ხანგრძლივი პერიოდისათვის გაანგარიშებული ბწკარედების მომზადების გეგმა, საზოგადოებრივ-ლიტერატურული და კულტურულ-პოლიტიკური ამოცანების გათვალისწინებით;

— წარუდგინოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილებებს ლიტერატურული შემოქმედებითი კონტაქტების განხორციელების ღონისძიებათა გეგმები, რომლებიც გაითვალისწინებენ ლიტერატორთა, თარგმანის სპეციალისტთა მოწვევას საზღვარგარეთის ქვეყნებიდან;

— წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის დებულების პროექტი, შეთანხმებული საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან.

4. დამტკიცდეს მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა საბჭოს თანდართული შემადგენლობა.

5. მიზანშეწონილად ჩაითვალოს დაწესდეს დარგობრივი რესპუბლიკური პრემია მხატვრული თარგმანის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის. მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოსთან ერთად წარმოუდგინოს შესაბამისი წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. მიღებულ იქნეს საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის წინადადება იმის შესახებ, რომ საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულ მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარ სარედაქციო კოლეგიას გადაეცეს ი. მაჩაბლის სახლი სოფ. თამარაშენში მთარგმნელთა შემოქმედებითი სახლის შესაქმნელად.

7. მოწონებულ იქნეს საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის მთავარი სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ კოლეგიასთან შეიქმნას საზოგადოებრივ საწყისებზე ლიტერატურული კავშირურთიერთობის სახლი ქ. თბილისში, სმირნოვების სახლში, რომლებსაც აქვთ პუშკინის ეპოქის უნიკალური რელიკვიები, რუსეთ-საქართველოს ლიტერატურული და კულტურული კავშირურთიერთობის ამსახველი მნიშვნელოვანი მასალები.

ამასთან დაკავშირებით დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს 1976 წლის 1 იანვრამდე განიხილოს ტაბიძის ქუჩაზე მდებარე № 20 სახლის ნაწილის განთავისუფლების საკითხი.

8. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარ სარედაქციო კოლეგიასთან ერთად შეიმუშაონ და შეუდგნენ 1976/77 სასწავლო წლის დაწყებამდე ღონისძიებათა განხორციელებას სსრ კავშირის მოძმე ხალხთა და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა ენებიდან მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელთა მომზადების გასაუმჯობესებლად.

9. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განახორციელონ უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის უფროსი კურსების სტუდენტთა გეგმაზომიერი გაცვლა მოკავშირე რესპუბლიკების უნივერსიტეტებთან სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურებისა და მხატვრული თარგმანის დარგში სპეციალისტთა მოსამზადებლად.

მოწონებულ იქნეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურებისა და მხატვრული თარგმანის კათედრის შექმნა.

10. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მიიღოს საჭირო ზომები საქართველოს სსრ სამეცნიერო ორგანიზაციებში ლექსიკოლოგიური საქმიანობის გააქტიურებისათვის, უზრუნველყოს ლექსიკონების, საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და სამეცნიერო-საინფორმაციო ლიტერატურის სისტემატური გამოცემა.

11. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირურთიერთობის კომისიამ განიხილონ და გადაწყვიტონ საკითხები იმის შესახებ, რომ:

— შეკეთდეს მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიისათვის სოფ. თამარაშენში მთარგმნელთა შემოქმედებითი სახლის შესაქმნელად გადაცემული სახლი და მასთან მისასვლელი გზა;

— მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარ სარედაქციო კოლეგიას გამოეყოს ადმინისტრაციულ-სამეურნეო და ტექნიკური პერსონალის დამატებითი საშტატო ერთეულები;

— მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარ სარედაქციო კოლეგიას გამოეყოს სატრანსპორტო, ტექნიკური საშუალებანი და აპარატურა.

მთავარ სარედაქციო კოლეგიას მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებანი, მოყოლებული 1976 წლიდან, გამოუყონ ცალკე სტრიქონად.

13. შეტანილ იქნეს მთავარი სარედაქციო კოლეგია იმ ორგანიზაციათა ნუსხაში, რომლებიც იღებენ რესპუბლიკაში გამოცემული მხატვრული, ლიტერატურათმცოდნეობის, კრიტიკის, ხელოვნებათმცოდნეობის, ფილოსოფიაესთეტიკის და ამ დისციპლინებში სასწავლო ლიტერატურის ეგზემპლარებს,

ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ ენებზე გამოცემული ლიტერატურული ჟურნალების ეგზემპლარებს, ლექსიკონების, ცნობარებისა და ენციკლოპედიების ეგზემპლარებს.

14. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილებამ კონტროლი გაუწიოს ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1975 წლის 15 დეკემბერი № 738

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 15 დეკემბრის № 738 დადგენილებით

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა საბჭოს შემადგენლობა

1. გ. გ. აბაშიძე — საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე;
2. ი. ბ. აბაშიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი;
3. ნ. დ. აგიაშვილი — საქართველოს მწერალთა კავშირის მთარგმნელთა სექციის თავმჯდომარე;
4. ე. გ. ანანიაშვილი — მთარგმნელი, საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმანის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
5. ო. ა. ბაქანიძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი;
6. მ. კ. ბაქრაძე — თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფრანგული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანი;
7. ბ. ი. ბრეგვაძე — საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის მხატვრული და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის მთარგმნელთა საკონსულტაციო რედაქციის მთავარი რედაქტორი;
8. თ. პ. ბუაჩიძე — პროფესორი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, მთარგმნელი;
9. ი. მ. გიგინეიშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების გამგე;
10. ი. კ. თარბა — საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი;
11. ნ. მ. კაკაბაძე — პროფესორი;

12. ვ. მ. კახნიაშვილი — საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებელი მდივანი;

13. ზ. გ. კიკნაძე — მთარგმნელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

14. ვ. ვ. კოტეტიშვილი — მთარგმნელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

15. დ. ვ. ლაშქარაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის საზღვარგარეთის ქვეყნების ლიტერატურებთან კავშირურთიერთობის განყოფილების გამგე;

16. კ. ა. ლორთქიფანიძე — მწერალი, მსოფლიო ლიტერატურის ალმანახის „საუნჯის“ მთავარი რედაქტორი;

17. რ. ს. მიმინოშვილი — პროფესორი, მთარგმნელი;

18. ნ. რ. ნათაძე — პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის თარგმნის სექტორის გამგე;

19. ო. ფ. ნოდია — საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე;

20. ა. ვ. ურუშაძე — პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგე;

21. ნ. ა. ყიასაშვილი — პროფესორი;

22. თ. ვ. ჩხენკელი — მთარგმნელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

23. გ. შ. ციციშვილი — პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურებთან კავშირურთიერთობის განყოფილების გამგე;

24. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

25. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე;

26. საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე;

27. საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

დადგენილებები

81 საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის გაუმჯობესების შესახებ

„საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 4 მაისის № 291 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის მაღალი ტექნიკური დონე, რათა ამ პროექტებით მშენებარე (სარეკონსტრუქციო) საწარმოები, შენობები და ნაგებობები მათი ამოქმედების დროისათვის იყოს ტექნიკურად მოწინავე და ჰქონდეს შრომის ნაყოფიერების, წარმოების თვითღირებულებისა და პროდუქციის ხარისხის მაღალი მაჩვენებლები, უზრუნველყოფდეს ახალ სახეობათა

პროდუქციის გამოშვებას, შრომის პირობების მხრივ შეესაბამებოდეს თანამედროვე მოთხოვნებსა და იმ მოთხოვნებს, რომლებიც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 390 დადგენილებით.

2. საქართველოს სსრ სახმშენის შემადგენლობაში შეიქმნას პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების სახელმწიფო ექსპერტიზის სამმართველო სსრ კავშირის სახმშენის მიერ რეკომენდებული 12 ერთეულის ოდენობით, ამასთან დაკავშირებით 1976 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ სახმშენის ცენტრალური აპარატის მუშაკთა რიცხოვნობა (პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების სახელმწიფო ექსპერტიზის სამმართველოსათვის) გაიზარდოს 2 ერთეულით საქართველოს სსრ სახმშენის ორგანიზაციათა აღმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის საერთო რიცხოვნობის ფარგლებში და გამოეყოს დამატებითი ხელფასის ფონდი თვეში 490 მანეთი.

დაეკისროს საქართველოს სსრ სახმშენის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების სახელმწიფო ექსპერტიზის სამმართველოს რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე ადგილობრივი დაქვემდებარების მშენებლობების ხაზით ისეთ საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების სახელმწიფო ექსპერტიზა, როგორიცაა:

ა) ობიექტები, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 3 მილიონი მანეთი და მეტი, და უნდა დაამტკიცოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ;

ბ) საბინაო, სამოქალაქო და კომუნალური დანიშნულების ობიექტები, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 0,5 — 3 მილიონი მანეთი;

გ) ავტონომიური ოლქის, თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებისადმი დაქვემდებარებული სამრეწველო და სატრანსპორტო მშენებლობის ობიექტები, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 0,5 — 3 მილიონი მანეთი;

დ) სახელმწიფო, საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათშორისო მეცხოველეობის კომპლექსებისა და მეფრინველეობის ფაბრიკების ობიექტები, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 1,5 მილიონი მანეთი და მეტი;

ე) საბინაო, სამოქალაქო, კომუნალური და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტების ის ტიპობრივი პროექტები, რომლებსაც ადგენენ საქართველოს სს რესპუბლიკაში მშენებლობისათვის;

ვ) ქალაქებისა და დაბების გენერალური გეგმები, დეტალური დაგეგმარების პროექტები და რაიონული დაგეგმარების პროექტები.

3. დადგინდეს, რომ რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე ადგილობრივი დაქვემდებარების მშენებლობების ხაზით საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზა (იმ ობიექტების გარდა, რომლებსაც ექსპერტიზა უნდა გაუწიოს საქართველოს სსრ სახმშენმა) უნდა წარმოებდეს შემდეგი წესით:

ა) საბინაო, სამოქალაქო და კომუნალური დანიშნულების ობიექტებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 0,5 მილიონ მანეთამდე, ექსპერ-

ტიზას უწევენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომები;

ბ) სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო დანიშნულების ობიექტებს, რომელთა ღირებულებაა 3 მილიონ მანეთამდე, — საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ხოლო ობიექტებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 0,5 მილიონ მანეთამდე, — ავტონომიური ოლქის, თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომები;

გ) წყალსამეურნეო დანიშნულების ობიექტებს და სარწყავი, ამოსაშრობი და მიწების ასათვისებელი კომპლექსური მშენებლობის ობიექტებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 2,5 მილიონ მანეთამდე,—საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო.

საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის (რეკონსტრუქციის) იმ ტექნიკური (ტექნიკურ-სამუშაო) პროექტების, საპროექტო დავალებებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზა, რომლებიც ხელახლა მტკიცდება დადგენილი წესით, წარმოებს ახლად შემუშავებული პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვებისათვის მოქმედი წესით.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარმა სამმართველომ, რესპუბლიკურმა სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქების თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა:

ა) ცენტრალური აპარატის დამოუკიდებელ სტრუქტურულ ქვეგანაყოფებად გამოჰყონ ქვეგანაყოფები, რომლებიც ახორციელებენ საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზას;

ბ) პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის სამუშაოთა მოცულობასა და ტიპობრივ შტატებს შეუსაბამონ საექსპერტო ქვეგანაყოფების სტრუქტურა და მუშაკთა რიცხოვნობა (სამინისტროთა და უწყებათა ცენტრალური აპარატის მუშაკთა დადგენილი რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის გაუდიდებლად), აგრეთვე საექსპერტო ქვეგანაყოფები დააკომპლექტონ მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით;

გ) უზრუნველყონ პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების განხილვისათვის სამინისტროთა და უწყებათა კოლეგიებისა და სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოების მუშაობის გაუმჯობესება, ამ მუშაობაში მეცნიერებისა და სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ყველაზე კვალიფიციური სპეციალისტების ფართო მონაწილეობა;

დ) საჭირო შემთხვევებში პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზაში ჩააბან საქვეუწყებო სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციები, რისთვისაც ამ ორგანიზაციათა

სამუშაო გეგმებში გაითვალისწინონ პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის დავალებანი;

ე) უზრუნველყონ პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის შედეგების განზოგადება და ამ განზოგადების საფუძველზე მიიღონ ზომები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმესა და პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა ყოველწლიურად 1 თებერვლამდე წარუდგინონ საქართველოს სსრ სახმშენს ზემოაღნიშნული ექსპერტიზის შედეგების განზოგადების მასალები და ამავე ვადაში შეატყობინონ, თუ რა ღონისძიებანი განახორციელეს ამ საქმეში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

5. საქართველოს სსრ სახმშენმა:

ა) უზრუნველყოს საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის იმ სამუშაოთა მეთოდური ხელმძღვანელობა, რომლებსაც აწარმოებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო, რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, და ამ პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების, აგრეთვე იმ პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ხარისხის არჩევითი შემოწმება, რომლებსაც საქვეუწყებო ორგანიზაციები ადგენენ ხელშეკრულებებით კოოპერაციული (კოლმეურნეობების ჩათვლით) და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის;

ბ) უზრუნველყოს პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზისა და მათი ხარისხის არჩევითი შემოწმებების შედეგების განზოგადება და ამ განზოგადების საფუძველზე მიიღონ ზომები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმესა და პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

ექსპერტიზისა და შემოწმებების აღნიშნული შედეგების განზოგადების მასალები სსრ კავშირის სახმშენს წარუდგინოს ყოველწლიურად პირველ კვარტალში და ამავე ვადაში შეატყობინოს, თუ რა ღონისძიებანი განახორციელა ამ საქმეში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

გ) გააუმჯობესოს თავისი და საქართველოს სსრ სახმშენთან არსებული სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს მუშაობა პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების განხილვის საქმეში, ამ მუშაობაში ფართოდ ჩააბას რესპუბლიკის მეცნიერები და ყველაზე კვალიფიციური სპეციალისტები;

დ) პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზაში საჭირო შემთხვევებში ჩააბას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციები, რისთვისაც ამ ორგანიზაციათა სამუშაო გეგმებში გაითვალისწინოს პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის დავალებანი.

6. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1973 წლის 4 მაისის № 291 დადგენილებით:

— დაადგინა, რომ სამინისტროთა, უწყებათა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და საწარმოთა თა-

ნამდებობის პირებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენასთან, ექსპერტიზასა და დამტკიცებასთან, ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა შესაბამისად ამ პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების სწორი შედგენისა და ექსპერტიზისათვის და იმ პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცებისათვის, რომლებშიც გათვალისწინებული უნდა იყოს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები, საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა საიმედოობა, უსაფრთხოება და ხანგამძლეობა, მშენებლობის (რეკონსტრუქციის) ეკონომიური ეფექტიანობა, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი შრომის პირობები, აგრეთვე სწორად უნდა იყოს განსაზღვრული მშენებლობის (რეკონსტრუქციის) სახარჯთაღრიცხვო ღირებულება;

— როგორც გამონაკლისი, ნება დართო სამინისტროებსა და უწყებებს საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზისათვის საშტატო თანამდებობებზე მიიღონ სპეციალისტები, რომლებიც პენსიას იღებენ, ამასთან გადაუხადონ მათ პენსია 100 პროცენტის ოდენობით, მაგრამ იმ პირობით, რომ პენსიისა და ხელფასის საერთო თანხა არ აღემატებოდეს 300 მანეთს თვეში;

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 26 მაისის № 560 დადგენილების მე-3 პუნქტით დადგენილი შრომის ანაზღაურების 20 პროცენტით შემცირებული ნორმები გაავრცელა შტატგარეშე ექსპერტებზე, რომლებსაც იწვევენ მოკავშირე რესპუბლიკების სახმშენები;

— ძალაში დატოვა „სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებში მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 14 დეკემბრის № 4898 დადგენილების შესაბამისად დაწესებული იმ უშტატო მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირობები, რომლებსაც იწვევენ რესპუბლიკების სამინისტროები და უწყებები და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენის სახელმწიფო ექსპერტიზის სამმართველოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის ანაზღაურება აწარმოონ დადგენილი წესით.

8. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებანი დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1975 წლის 4 ნოემბერი № 651

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 4 ნოემბრის № 651
დადგენილების დანართი

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის ახალი წესის დამტკიცებასთან დაკავშირებით

1. „საქართველოს სსრ სახმშენის ცენტრალური აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 16 იანვრის № 29 დადგენილების მე-2 პუნქტი.

2. „მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მატერიალურ-საფინანსო ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 30 აგვისტოს № 477 დადგენილების მე-5 პუნქტის მეორე აბზაცი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი**.

12958

82 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის საბჭოს შექმნის შესახებ

რესპუბლიკაში პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის განვითარებისა და სახალხო მეურნეობის დარგებისათვის კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადების საკითხთა ყოველმხრივი შესწავლის, საჭირო ღონისძიებათა შემუშავებისა და ამ მიმართულებით შესაბამისი რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაციის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტში შეიქმნას საბჭო და დამტკიცდეს მისი შემადგენლობა დანართის თანახმად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს შეიმუშაოს და დაამტკიცოს აღნიშნული საბჭოს დებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1975 წლის 4 ნოემბერი, № 652

83 სამკურნალწამლო მცენარე ხარისშუბლას ბუნებრივი რესურსების დაცვისა და კვლავწარმოების გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მეურნეობები, რომლებიც ეწევიან ძვირფასი სამკურნალწამლო მცენარის ხარისშუბლას აღება-შეგროვებასა და დამზადებას, არარაციონალურად იყენებენ მის ბუნებრივ აღმონაცენებს, არასაკმარისად ორგანიზებულად და კვალიფიციურად აწარმოებენ ნედლეულის შეგროვებას.

ხარისშუბლას დამზადებისას პრაქტიკაში შემოღებული არ არის ცალკეული ნაკვეთების თანამიმდევრული გამორთვა ექსპლუატაციიდან (მონაცვლეობა), გამოყენებული არ არის პლატიფილინის მცირე შემცველობის მქონე ხარისშუბლა. ამის შედეგად ამ ძვირფასი სამკურნალწამლო მცენარის მარაგი მკვეთრად მცირდება.

სამკურნალწამლო მცენარე ხარისშუბლას რესურსების შენარჩუნება კვლავწარმოებისა და მისი გამოყენებისათვის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა განხორციელების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბუნების დაცვის ცენტრალური ლაბორატორიის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო კომიტეტის წინადადება და შეიქმნას ხარისშუბლას გავრცელების ბუნებრივი არეალის ზონებში ბორჯომის რაიონში სოფ. მიტარბის მახლობლად (თრიალეთის ქედზე) და მახარაძის რაიონში გომისმთის ტერიტორიაზე (მესხეთის ქედზე) აღკვეთილები — შესაბამისად — 200 ჰექტარი და 100 ჰექტარი ფართობით.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი რაიონული საბჭოების აღმასკომებთან და სამკურნალწამლო და სურნელოვან მცენარეთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო--კვლევითი ინსტიტუტის ამიერკავკასიის ზონალურ საცდელ სადგურთან ერთად გამოყოს ნატურაში და გამიჯნოს ადგილზე აღნიშნულ აღკვეთილთა ტერიტორიები.

3. დაევალოს სსრ კავშირის სამედიცინო მრეწველობის სამინისტროს სამკურნალწამლო და სურნელოვან მცენარეთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ამიერკავკასიის ზონალურ საცდელ სადგურს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით 1975 წლის ბოლომდე შეიმუშაოს სახელმძღვანელოდ ხარისშუბლას აღება-შეგროვებისა და დამზადების სქემა 1976-1980 წლებისათვის.

სქემის შემუშავებისას მხედველობაში მიიღოს სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებანი პლატიფილინის საწარმოებლად სამკურნალწამლო ნედლეულის დამზადებისათვის და გაითვალისწინოს აღნიშნული რესურსების კვლავწარმოების (ექსპლუატაციის მონაცვლეობა) და შენარჩუნების პრინციპების დაცვა, აგრეთვე პლატიფილინის მცირე შემცველობის მქონე ხარისშუბლას ნაკვეთების ათვისება.

4. დაწესდეს, რომ 1976 წლიდან სამკურნალწამლო მცენარე ხარისშუბლას აღება-შეგროვება და დამზადება უნდა წარმოებდეს მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ნებართვით ზემოაღნიშნული სქემის შესაბამისად.

5. ხარისშუბლას გაკულტურულების მიზნით სამკურნალწამლო და სურნელოვან მცენარეთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ამიერკავკასიის ზონალურმა საცდელმა სადგურმა განაგრძოს ქობულეთის სამკურნალწამლო მცენარეების საბჭოთა მეურნეობასთან ხელშეკრულებით სამუშაოები აგროტექნიკური წესების შესამუშავებლად და ხარისშუბლას კულტურის შექმნის ეკონომიური ეფექტიანობის დასადგენად, ამასთან დაკავშირებით შექმნას ორი საცდელ-საწარმოო ნაკვეთი, თითოეული 2-2 ჰექტარი ფართობით, ბორჯომისა და მახარაძის რაიონებში ახლადმოწყობილ აღკვეთილთა ტერიტორიაზე.

6. ეთხოვოს სსრ კავშირის სამედიცინო მრეწველობის სამინისტროს დააჩქაროს ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში პლატიფილინის უფრო მცირე შემცველობის მქონე ხარისშუბლას გადამუშავების ახალი ტექნოლოგიის შემუშავება საბოლოო პროდუქციის გამოსავლიანობის გადიდებისა და დანაკარგების შემცირების მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს უზრუნველყოს ხარისშუბლას აღკვეთილობისა და ბუნებრივი რესურსების დაცვა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1975 წლის 11 ნოემბერი, № 665

84 „ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 ივლისის № 464 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 ივლისის № 464 დადგენილების მე-5 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ნება დაერთოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს აბანო-სამრეცხაო მეურნეობის ტრესტის მიერ გოგირდის მინერალური წყლის გამოყენებისათვის გადაურიცხოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტების სამმართველოს 3 კაპიკი თითოეულ კუბურ მეტრ მინერალურ წყალში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 18 ნოემბერი, № 677

85 მიწით სარგებლობის უფლებაზე სახელმწიფო აქტების მიწათმოსარგებლეთათვის მიცემის შესახებ

„მიწით სარგებლობის უფლებაზე სახელმწიფო აქტების მიწათმოსარგებლეთათვის მიცემის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 6 მარტის № 199 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსრ კავშირისათვის ერთიანი ფორმის თანახმად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებული მიწით სარგებლობის უფლებაზე სახელმწიფო აქტის ფორმა ქართულ ენაზე მწკარედი რუსული ტექსტით.

2. ეთხოვოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს უზრუნველყოს სსრკ სახნიშნის მიერ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეკვეთით მიწით სარგებლობის უფლებაზე სახელმწიფო აქტის ფორმების დამზადება 10 ათასი ცალის ოდენობით თანდართული ნიმუშის შესაბამისად.

3. დაწესდეს, რომ მიწით სარგებლობის უფლებაზე სახელმწიფო აქტებს მიწათმოსარგებლეებს მისცემენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომები.

მიწით სარგებლობის უფლებაზე სახელმწიფო აქტი შედგება ორ ცალად: პირველი ცალი მიეცემა მიწათმოსარგებლეს, ხოლო მეორე ცალი შეინახება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომში.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა:

— უზრუნველყონ მიწით სარგებლობის უფლებაზე სახელმწიფო აქტების გაცემის სამუშაოთა ხელმძღვანელობა;

— მოაწყონ, სადაც ეს საჭიროა, მიწით სარგებლობის უფლებაზე სახელმწიფო აქტების გაცემის დროისათვის მიწათსარგებლობის ოდენობის დაზუსტების, ხანგრძლივი სამიჯნე ნიშნებით მიწათსარგებლობის საზღვრების დადგენის სამუშაოთა შესრულება, აგრეთვე იმის შემოწმება, რომ ყველა მიწათმოსარგებლე პირდაპირი დანიშნულებით იყენებდეს მათთვის მიცემულ მიწებს;

— უზრუნველყონ თითოეულ რაიონში მიწათსარგებლობის რაიონული რუკის წარმოება.

5. დაეკისროს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კონტროლი მიწით სარგებლობის უფლებაზე სახელმწიფო აქტების გაცემის სამუშაოთა შესრულებისადმი.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 13 სექტემბრის № 1214 დადგენილება (1935 წლის კანონთა და განკარგულებათა კრებული, № 28, მუხ. 170).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 21 ნოემბერი, № 683

86 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კიდული საბაგირო გზების განვითარებისა და ექსპლუატაციის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კიდული საბაგირო გზების განვითარებისა და ექსპლუატაციის სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 28 ნოემბერი, № 695

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 28 ნოემბრის № 695
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კიდული საბაგირო გზების განვითარებისა და ექსპლუატაციის სამმართველოს შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კიდული საბაგირო გზების განვითარებისა და ექსპლუატაციის სამმართველო („საქბაგირგზა") შექმნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 28 მარტის № 220 დადგენილებით „საქართველოს სს რესპუბლიკაში კიდული საბაგირო ტრანსპორტის განვითარების შესახებ".

2. „საქბაგირგზის" სამმართველო არის რესპუბლიკური ორგანო და თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. სამმართველო და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციები, საწარმოები და დაწესებულებები ერთიან სისტემას შეადგენენ.

3. „საქბაგირგზის" სამმართველოს შენახვა ხდება მისი საქვეუწყებო ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების შემოსავლის ანარიცხების ხარჯზე.

4. „საქბაგირგზის" სამმართველო არის იურიდიული პირი, იმყოფება დამოუკიდებელ ბალანსზე, აქვს ანგარიშები ბანკების შესაბამის კანტორებსა და განყოფილებებში და მოქმედებს ამ დებულების საფუძველზე.

5. „საქბაგირგზის" სამმართველოს მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

— განახორციელოს კიდული საბაგირო გზებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე დაგეგმვა, შეიმუშაოს ღონისძიებანი სახალხო მეურნეობაში მათი უფრო ფართოდ გამოყენებისათვის;

— კოორდინაცია გაუწიოს კიდული საბაგირო გზებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების განვითარებით დაინტერესებული ყველა სამინისტროსა და უწყების საქმიანობას მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური სახსრების კონცენტრაციისათვის იმის გათვალისწინებით, რომ ცალკეული სამინისტროები და უწყებები უფრო ფართოდ იქნენ ჩაბმული კიდული საბაგირო გზების მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობისათვის;

— მეთოდიკური ხელმძღვანელობა გაუწიოს კიდული საბაგირო გზებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების კვლევის, დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის სამუშაოთა კომპლექსებს, რომელთაც რესპუბლიკის ცალკეული სამინისტრო-

ები და უწყებები ასრულებენ; განახორციელოს მომსახურე პერსონალის ტექნიკური სწავლება და გადამზადება დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან და ორგანიზაციებთან დადებულ სამეურნეო ხელშეკრულებათა მიხედვით;

— განახორციელოს კონტროლი ცალკეული სამინისტროებისა და ორგანიზაციების (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) კუთვნილი კიდული საბაგირო გზებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების მუშაობის სისწორისადმი, მათ მიერ ტექნიკური ექსპლუატაციის მოქმედი წესების დაცვისადმი;

— შეიმუშაოს დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებით ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ კიდული საბაგირო გზებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების ექსპლუატაციის ნორმალური პირობების უზრუნველყოფას სამამულო და საზღვარგარეთული საბაგირო-სატრანსპორტო ნაგებობებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის მეცნიერულ-ტექნიკური გამოცდილების განზოგადებისა და დანერგვის გათვალისწინებით;

— განახორციელოს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა ახლად მშენებარე და სარეკონსტრუქციო კიდული საბაგირო გზებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების დაპროექტების დარგში;

— ადმინისტრაციულ-სამეურნეო და ტექნიკური ხელმძღვანელობა გაუწიოს „საქბაგირგზის“ სამმართველოს გამგებლობაში არსებულ ყველა ქვედანაყოფს;

— განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც პერსპექტივაში უზრუნველყოფენ დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან და ორგანიზაციებთან დადებულ სამეურნეო ხელშეკრულებათა საფუძველზე კიდული საბაგირო გზებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების განვითარებისა და ექსპლუატაციის სამუშაოთა ცალკეული სახეობების შესრულებას საკუთარი ძალებით.

6. „საქბაგირგზის“ სამმართველო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს კიდული საბაგირო გზების დაპროექტებისა და მშენებლობის პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების მიერ შედგენილი მასალების საფუძველზე და წარუდგენს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სახალხო-სამეურნეო გეგმაში შესატანად;

ბ) შეასრულებს იმ ორგანოს ფუნქციებს, რომელიც კოორდინაციას გაუწევს კიდული საბაგირო გზებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების განვითარებით დაინტერესებული ყველა სამინისტროს, უწყებისა და საწარმოს საქმიანობას მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური სახსრების კონცენტრაციისათვის იმის გათვალისწინებით, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკეული სამინისტროები და უწყებები უფრო ფართოდ იქნენ ჩაბმული მათ მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობისათვის;

გ) განახორციელებს სამეურნეო ხელშეკრულებათა საფუძველზე მეთოდიკურ ხელმძღვანელობას კიდული საბაგირო გზებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების კვლევის, დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემის სამუშაოთა კომპლექსებისადმი, რომელთაც რესპუბლიკას დაინტერესებული სამინისტროები, უწყებები და საწარმოები ასრულებენ, აგრეთვე გაუწევს მათ ტექნიკურ დახმარებას მოქმედი კიდული გზებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების სრულყოფაში;

დ) განიხილავს და შეათანხმებს:

— კიდული საბაგირო გზებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების მშენებლობის დაპროექტების ან ტექნიკურ-ეკონომიურ დასაბუთებათა შემუშავების ტექნიკურ დავალებებს;

— ხელშეკრულებებს საპროექტო-საძიებო, სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო და გასაშვებ-გასაწყობი სამუშაოების შესრულების თაობაზე;

— ახალი და სარეკონსტრუქციო კიდული საბაგირო გზებისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების პროექტებს, დამთავრებულ ანგარიშებს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესახებ, რომელთაც წარადგენენ დაინტერესებული სამინისტროები, უწყებები, საწარმოები და ორგანიზაციები;

— კიდული საბაგირო გზებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების განვითარებასთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ სახელმძღვანელო ტექნიკურ მასალებს;

— ტექნიკურ პირობებს ახალი ტექნოლოგიური და ელექტრული მოწყობილობის, ხელსაწყოების, ავტომატიზებული მართვის საშუალებებისა და სისტემების დასამზადებლად;

ე) განახორციელებს „საქბაგირგზის" სამმართველოს საქვეუწყებო ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების ობიექტების მშენებლობას, რეკონსტრუქციასა და კაპიტალურ რემონტს დამტკიცებული სატიტულო სიებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის თანახმად;

ვ) წარუდგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და მთავარმომარაგებას განაცხადებს საკუთარი საჭიროებისათვის აუცილებელი მოწყობილობის, ავტოტრანსპორტის, მასალების, ავტომატიზაციის საშუალებებისა და ხელსაწყოების, ელექტროაპარატურისა და კაბელის ნაკეთობების, ინსტრუმენტებისა და ინვენტარის მისაღებად;

ზ) მონაწილეობას მიიღებს კიდული საბაგირო გზების მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების შემრჩევი კომისიების მუშაობაში, შეიტანს საჭიროების კვალობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში შესაბამის წინადადებებს მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ;

თ) მონაწილეობას მიიღებს დაინტერესებული სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ აშენებული კიდული საბაგირო გზებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების საექსპლუატაციოდ მიმღები კომისიების მუშაობაში;

ი) უფლება აქვს გაუგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტს, შესაბამის სამინისტროებს, უწყებებსა და საწარმოებს წინადადებანი კიდული საბაგირო გზების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის და უსაფრთხობის ტექნიკისა და ტექნიკური ექსპლუატაციის წესების დარღვევის გამო აღნიშნული გზების ექსპლუატაციის შეჩერების შესახებ;

კ) შექმნის კომისიებს, სამუშაო ჯგუფებს კიდული საბაგირო გზებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების სრულყოფისა და განვითარების ყველაზე დიდმნიშვნელოვან საკითხებზე წინადადებათა და რეკომენდაციათა შესამუშავებლად, მიიზიდავს ამისათვის მაღალკვალიფიციურ მეცნიერ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს;

ლ) მიიზიდავს საჭირო შემთხვევებში მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს მოქმედი კიდული საბაგირო გზებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების ინსპექტირებისათვის;

მ) მოაწყობს დადგენილი წესით თათბირებს, კონფერენციებს, სემინარებსა და კურსებს;

ნ) მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალების დახმარებით პროპაგანდას გაუწევს ცოდნას კიდული საბაგირო გზებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ო) მონაწილეობას მიიღებს დადგენილი წესით საერთაშორისო ორგანიზაციების, თათბირების, კონფერენციების მუშაობაში კიდული საბაგირო გზებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების სრულყოფისა და განვითარების საკითხებზე; გამოცდილებას გაუზიარებს ამ დარგში სხვა ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებს;

პ) უფლება აქვს მოსთხოვოს საიჯარო ორგანიზაციებს წარადგინონ მასალები კიდული საბაგირო გზებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების სრულყოფისა და განვითარების საკითხებზე სამუშაოთა და მათი დროულად და ხარისხიანად შესრულების უზრუნველმყოფ ღონისძიებათა მიმდინარეობის შესახებ;

ჟ) „საქბაგირგზის“ სისტემაში შესაბამისი დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოო ბაზის შექმნის კვალობაზე დაუდებს დაინტერესებულ სამინისტროებს, უწყებებსა და საწარმოებს ხელშეკრულებებს კიდული საბაგირო გზებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების შექმნისა და განვითარებისათვის სხვადასხვა სახის სამუშაოების (ობიექტის გამოკვლევა და დაპროექტების ტექნიკურ დავალებათა შემუშავება, საპროექტო-საძიებო, კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო, სამშენებლო-სამონტაჟო და გასაშვებ-გასაწყობი სამუშაოების შესრულება) სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთარი ძალებით შესასრულებლად სახელმწიფო ბიუჯეტის, კაპიტალური მშენებლობის სახსრებისა და სამუშაოთა შემკვეთების მიერ გაღებული საექსპლუატაციო თანხების ხარჯზე;

რ) დაუდებს სპეციალიზებულ ორგანიზაციებს ხელშეკრულებებს კიდული საბაგირო გზებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების შექმნისა და განვითარებისათვის ცალკეულ სახეობათა სამუშაოების შესასრულებლად დაინტერესებული სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების სახსრების ხარჯზე;

ს) განახორციელებს დადგენილი წესით ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შერჩევასა და განაწილებას თავისი სისტემის ორგანიზაციისათვის, მოაწყობს სპეციალისტთა მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას;

ტ) კონტროლს გაუწევს შრომის კანონმდებლობის დაცვას, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებას;

უ) წარადგენს დადგენილი წესით თავისი სისტემის მოწინავე მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს საპატიო წოდების მისანიჭებლად, მთავრობისა და საუწყებო ჯილდოების მისაკუთვნებლად, დააჯილდოებს მათ „საქბაგირგზის“ სამმართველოსა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელებით, აგრეთვე გამოიყენებს წახალისების სხვა ფორმებს;

ფ) განახორციელებს კონტროლს თავისი სისტემის ორგანიზაციებში სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი;

ქ) ჩამოსწერს ბალანსიდან დადგენილი წესით მოძველებულ მოწყობილობას, სატრანსპორტო საშუალებებს, ხელსაწყოებს, ელექტროაპარატურას, ინსტრუმენტებსა და ინვენტარს, შენობა-ნაგებობებს, რომლებიც ასაღებია მათ რეკონსტრუქციასთან ან ამ სისტემის ორგანიზაციათა ახალი ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებით;

ღ) ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით ჩამოსწერს დადგენილი წესით უიმედო დებიტორულ დავალიანებას, რომლის გადახდევინების ვადები უკვე გასულია.

7. „საქბაგირგზის“ სამმართველო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის მთავრობის, საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორ გამოყენებას თავისი სისტემის ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და საწარმოებში.

8. „საქბაგირგზის“ სამმართველოს გადაწყვეტილებები და განკარგულებები სავალდებულოა შესასრულებლად კიდული საბაგირო გზებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების მქონე ყველა სამინისტროს, უწყების, საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

9. „საქბაგირგზის“ სამმართველო თავის საქმიანობას ახორციელებს პარტიულ, საბჭოთა ორგანოებთან, პროფკავშირულ, კომკავშირულ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირით.

10. „საქბაგირგზის“ სამმართველოს სათავეში უდგას სამმართველოს უფროსი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

„საქბაგირგზის“ სამმართველოს უფროსს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს სამმართველოს უფროსი.

11. „საქბაგირგზის“ სამმართველოს უფროსი:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს სამმართველოსა და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების მთელ საქმიანობას;

ბ) გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და გასცემს მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად მისდამი დაქვემდებარებული სამმართველოს სისტემის ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის;

გ) შეიტანს დადგენილი წესით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად საკანონმდებლო აქტებისა და დადგენილებების პროექტებს „საქბაგირგზის“ სამმართველოს და მისი ქვედანაყოფების მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

დ) დაამტკიცებს დებულებებს სამმართველოს განყოფილებებისა და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების სტრუქტურული ქვედანაყოფების შესახებ;

ე) დადგენილი წესით შექმნის, გააუქმებს და გარდაქმნის თავის საქვეუწყებო ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს;

ვ) გააუქმებს ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და მითითებებს, რომლებიც საქვეუწყებო ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების ხელმძღვანელებმა გამოსცეს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების დარღვევით;

ზ) დანიშნავს და გაათავისუფლებს თანამდებობიდან სამმართველოს ცენტრალური აპარატისა და მისთვის უშუალოდ დაქვემდებარებული ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების მუშაკებს დადგენილი ნომენკლატურის შესაბამისად, შრომის კანონმდებლობის წესების დაცვით.

12. „საქბაგირგზის“ სამმართველოში შეიქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევლენ სამმართველოს უფროსი (საბჭოს თავმჯდომარე), უფროსის მოადგილეები, სამმართველოს ხელმძღვანელი მუშაკები, აგრეთვე წამყვანი მეცნიერები და სახალხო მეურნეობის სპეციალისტები, რომლებიც სამმართველოს აპარატის შტატში არ ირიცხებიან.

„საქბაგირგზის“ სამმართველოს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო თავის სხდომებზე მოისმენს და განიხილავს:

— ანგარიშებს დამთავრებული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისა და მათი ეტაპების შესახებ;

— ახალი და სარეკონსტრუქციო კიდული საბაგირო გზებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების პროექტებს;

— მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა უკეთ გამოყენების საკითხებს;

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დარგებში კიდული საბაგირო გზებისა და მათი ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების შექმნის, განვითარების სამუშაოთა კოორდინაციასთან დაკავშირებულ საკითხებს;

— ინსტრუქციებისა და სხვა სახელმძღვანელო მასალების პროექტებს;

— საქვეუწყებო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებებსა და განყოფილებების უფროსთა ანგარიშებს.

13. „საქბაგირგზის" სამმართველოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და რიცხოვნობას აწესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

14. „საქბაგირგზის" სამმართველოს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

87 საავტომობილო გზების გასხვისების ზოლის მიწების გამოყოფისა და გამოყენების წესის ინსტრუქციის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 დეკემბრის № 846 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქცია საავტომობილო გზების გასხვისების ზოლის მიწების გამოყოფისა და გამოყენების წესის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით ამოღებულ იქნეს „რკინიგზებისა და საავტომობილო გზებისათვის, ამოსაშრობი და სარწყავი არხებისა და სხვა სახაზო ნაგებო-

ბებისათვის მიწების გამოყოფის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 დეკემბრის № 846 დადგენილების 1-ლი პუნქტიდან საკითხი საავტომობილო გზების გასხვისების ზოლის მიწების გამოყოფისა და გამოყენების წესის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

2. პასუხისმგებლობა სსრ კავშირის სახმშენის 1974 წლის 19 დეკემბრის № 248 დადგენილებით დამტკიცებული საავტომობილო გზებისათვის მიწების გამოყოფის ნორმების დაცვისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის ფარგლებში დაეკისროთ საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სახმშენს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 8 დეკემბერი, № 700

88 საქართველოს სსრ ქვანახშირის მრეწველობის კომბინატის სისტემიდან ტორფის სასუქების საწარმოების რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკისათვის“ გადაცემის შესახებ

ტორფის სასუქების წარმოებისა და ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ წინადადება და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ თანხმობის გათვალისწინებით გადაეცეს ბალანსიდან ბალანსზე რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქსოფლტექნიკას“ საქართველოს სსრ ქვანახშირის მრეწველობის კომბინატის სისტემიდან ტორფის სასუქების ყველა საწარმო.

აღნიშნულ საწარმოთა გადაცემა მოხდეს 1975 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით ძირითადი და საბრუნავი საშუალებებით, წარმოების, თვითღირებულების, შრომის, კაპიტალურ დაბანდებათა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, დაფინანსების გეგმებითა და სხვა საწარმოო-საფინანსო მაჩვენებლებით, დადგენილი წესის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაცემა დამთავრდეს 1976 წლის 1 იანვრამდე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ ამ დადგენილებიდან გამომდინარე შესაბამისი ცვლილებანი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის გეგმასა და სახელმწიფო ბიუჯეტში, აგრეთვე 1976 წლის გეგმის პროექტსა და პერსპექტიულ გეგმებში.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს (ამხ. ა. ი. კიკნაველიძე — მოწვევა), საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს (ამხ. ნ. ა. ჭითანავა), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქსოფლტექნიკას" (ამხ. დ. ე. სარიშვილი), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს (ამხ. გ. პ. ზედგინიძე), საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს (ამხ. ვ. ი. მეტრეველი), საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარულ სასწავლო-კვლევით ინსტიტუტს (ამხ. გ. დ. აგლაძე), ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს (ამხ. ვ. ე. ჯაყელი) შეიმუშაონ ღონისძიებანი ტორფის მოპოვების გადიდებისა და სასუქებად, აგრეთვე ცილოვანი საკვების წარმოებისა და სოფლის მეურნეობის სხვა საჭიროებისათვის მისი ფართოდ გამოყენებისათვის და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეთანხმებული წინადადებანი 1976 წლის 1 თებერვლისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 8 დეკემბერი, № 703

89 საქართველოს პროფკავშირულ-კოოპერაციული ნებაყოფლობითი სასოფლო სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის" წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის წინადადება იმის შესახებ, რომ საქართველოს ნებაყოფლობითი სასოფლო სპორტული საზოგადოება „კოლმეურნე" გარდაიქმნას საქართველოს პროფკავშირულ-კოოპერაციულ ნებაყოფლობით სასოფლო სპორტულ საზოგადოება „კოლმეურნედ".

2. დამტკიცდეს საქართველოს პროფკავშირულ-კოოპერაციული ნებაყოფლობითი სასოფლო სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის" წესდება, რომელიც მიღებულია ამ საზოგადოების პლენუმის მიერ.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობას, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, რესპუბლიკის პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების მხარდაჭერითა და ხელისშეწყობით ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ პროფკავშირულ-კოოპერაციული ნებაყოფლობითი სასოფლო სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის“ ცენტრალურ და ადგილობრივ საბჭოებს სოფლის მოსახლეობაში მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სასწავლო სპორტული მუშაობის შემდგომ დანერგვა-განვითარებაში.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შემდგომშიც გაითვალისწინოს საქართველოს პროფკავშირულ-კოოპერაციული ნებაყოფლობითი სასოფლო სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს საფონდო მასალებით მომარაგება.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 25 ივლისის № 391 დადგენილება „რესპუბლიკური ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების „კოლმეურნისა“ და „უროჟაის“ გაერთიანების შესახებ“ და იმავე დადგენილებით დამტკიცებული „წესდება საქართველოს ნებაყოფლობითი სასოფლო სპორტულ საზოგადოება „კოლმეურნისა“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 6 იანვრის № 4 დადგენილება „საქართველოს სსრ ნებაყოფლობითი სასოფლო სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის“ წესდების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 15 დეკემბერი, № 717

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დამტკიცებულია"
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 15 დეკემბრის № 717
დადგენილებით

საქართველოს პროფკავშირულ-კოოპერაციული ნებაყოფლობითი სასოფლო სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის"

წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

საქართველოს პროფკავშირულ-კოოპერაციული ნებაყოფლობითი სასოფლო სპორტული საზოგადოება „კოლმეურნე" არის მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, დამზადების სამინისტროების, „საქსოფლტექნიკისა" და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშა-მოსამსახურეებს, კოლმეურნეებს, სოფლის მშრომელებსა და მათი ოჯახის წევრებს, უმაღლესი და საშუალო სასოფლო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტებსა და მოსწავლეებს.

საზოგადოება „კოლმეურნე" თავის მუშაობას ახორციელებს საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ხელმძღვანელობით პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელშეწყობით, საზოგადოების წევრთა ფართო ინიციატივისა და თვითმოქმედების, წევრობის ნებაყოფლობითობისა და ყველა ხელმძღვანელი ორგანოს არჩევითობის საფუძველზე.

თავის პრაქტიკულ მუშაობაში საზოგადოება „კოლმეურნე" ანგარიშვალდებულია საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და ნებაყოფლობით სასოფლო სპორტულ საზოგადოებათა საკავშირო ცენტრალური საბჭოს წინაშე.

II. საზოგადოების მიზნები და ამოცანები

1. საზოგადოება თავის მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის ფართო მასებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის რეგულარული მეცადინეობის დანერგვას, კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებული, ფიზიკურად ჯანსაღი, თავდადებული და სიცოცხლით სავსე მშენებლების მომზადებას, სოფლის ფიზკულტურელთა სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებას და ამ მიზნით:

— ქმნის პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ფიზიკური კულტურისა და სპორტის კოლექტივებს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მოსახლეობის ყოფაცხოვრებაში ფიზიკური კულტურისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სპორტის დანერგვას როგორც სოფლის ახალგაზრდობის აქტიური დასვენების, მათი ფიზიკური გაკაჟებისა და სოფლის მშრომელთა შრომის ნაყოფიერების ზრდის მნიშვნელოვან საშუალებას;

— ეწევა მასობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას სოფლის მოსახლეობაში (საწარმოო ტანვარჯიში, ტურიზმი, თევზჭერა და სხვ.), აწყობს სპორტულ შეჯიბრებებს, სპარტაკიადებს, ფიზკულტურულ ზეიმებსა და საღამოებს, ესტაფეტებს, გადარბენებს, გადასვლებს, მონაწილეობას იღებს ნებაყოფლობით სასოფლო სპორტულ საზოგადოებათა საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მიერ მოწყობილ სპორტულ-მასობრივ ღონისძიებებსა და შეჯიბრებებში, საერთაშორისო ასპარეზობებში;

— ეწევა სააგიტაციო-მასობრივ და პროპაგანდისტულ მუშაობას, განმარტავს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მნიშვნელობას როგორც მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, თავის წევრებად სოფლის მოსახლეობის ჩაბმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას, ყოველმხრივ იყენებს რა ამ მიზნით პრესას, რადიოს, ტელევიზიას, გამოფენებს, მოხსენებებს, საუბრებსა და სხვა ღონისძიებებს;

— აწყობს სემინარებსა და კურსებს ფიზკულტურული ორგანიზატორების, საზოგადოებრივი ინსტრუქტორების, სპორტის სახეობათა მიხედვით მსაჯებისა და მწვრთნელების მოსამზადებლად და გადასამზადებლად;

— ახორციელებს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის" (მშდ) კომპლექსისა და „სსრ კავშირის ტურისტის" ნიშნოსანთა, აგრეთვე საერთაშორისო და სსრ კავშირის სპორტის ოსტატების, სპორტის ოსტატობის კანდიდატების, თანრიგოსან სპორტსმენების მომზადებას;

— უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად ფიზიკურ კულტურასა და სპორტში ჩაბმულთა და შეჯიბრებების მონაწილეთა საექიმო კონტროლს;

— ატარებს მუშაობას სპორტული ნაგებობების მშენებლობისა და რემონტის, სპორტული ინვენტარისა და მოწყობილობის მესაძენად.

III. საზოგადოების წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი

2. საზოგადოების წევრებად შეიძლება იყვნენ კოლმეურნეები, მუშა-მოსამსახურენი, ინჟინერ-ტექნიკური, მედიცინისა და სხვა დარგის მუშაკები, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მასწავლებლები, მათი ოჯახის წევრები, სტუდენტები და მოსწავლენი;

3. საზოგადოების წევრად მიღებას ახორციელებს ფიზიკური კულტურის კოლექტივის საბჭო. იმ პირებს, რომლებიც მიღებული იქნებიან საზოგადოების წევრებად, მიეცემათ საწევრო ბილეთი.

4. საზოგადოების წევრებს უფლება აქვთ:

— იმეცადინონ საზოგადოების სპორტულ სექციებსა და ჯგუფებში;

— მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების მიერ ჩატარებულ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში, ტურისტულ გადასვლებში, სპორტულ შეჯიბრებებსა და სპარტაკიადებში;

— ისწავლონ კურსებსა და სემინარებზე, გაიარონ სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები;

— დადგენილი წესით უფასოდ ისარგებლონ საზოგადოების სპორტული ნაგებობებით, მოწყობილობითა და სატაბელო სპორტული ინვენტარით, ატარონ საზოგადოების სპორტული ფორმა და სამკერდე ნიშანი;

— მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების წევრთა კრებებში გადამწყვეტი ხმის უფლებით; აირჩიონ და არჩეულ იქნენ საზოგადოების ყველა ხელმძღვანელ ორგანოში.

5. საზოგადოების წევრები მოვალენი არიან:

— აქტიური მონაწილეობა მიიღონ თავისი ფიზიკური კულტურის კოლექტივისა და საზოგადოების მუშაობაში, შეასრულონ საზოგადოების წესდება და მისი ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებანი;

— სისტემატურად იმეცადინონ სპორტულ სექციებში, განიმტკიცონ თავიანთი ჯანმრთელობა, აითვისონ მშდ კომპლექსის ნორმატივები;

— მიაღწიონ მაღალ სპორტულ შედეგებს;

— იყვნენ მოწინავენი შრომასა და სწავლაში, სამაგალითონი დისციპლინასა და ორგანიზებულობაში, გამოუცხადონ სასტიკი ბრძოლა ამორალურ გამოვლინებებსა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთ;

— აქტიური მონაწილეობა მიიღონ სპორტული ნაგებობების მშენებლობაში;

— გაუფრთხილდნენ, მოუარონ და დაიცვან საზოგადოების ქონება;

— იქონიონ პირადი სპორტული ფორმა სავარჯიშო მეცადინეობისა და შეჯიბრებებისათვის;

— დროულად გადაიხადონ საზოგადოების საწევრო შესატანები;

— საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისა და სხვა სამუშაოზე (სასწავლებელში) გადასვლისას მოეხსნან თავის კოლექტივში აღრიცხვიდან და აღირიცხონ ფიზკულტურის კოლექტივში ახალი საცხოვრებელი ადგილის ან სამუშაოს მიხედვით.

6. საზოგადოების საბჭო წაახალისებს: საზოგადოების წევრების სპორტულ მიღწევათა ზრდას, მათ მიერ საზოგადოებრივ დავალებათა და მოვალეობათა სანიმუშოდ და კეთილსინდისიერად შესრულებას, საზოგადოების განმტკიცებაში აქტიურ მუშაობას.

წახალისების ფორმებია: მადლობის გამოცხადება, სიგელით, დიპლომით, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება.

7. უდისციპლინობისა და შეუფერებელი საქციელისათვის საზოგადოების წევრს შეიძლება დაედოს სასჯელი: გაფრთხილება, მითითება, საყვედური, შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა ერთ წლამდე და როგორც ყველაზე უკიდურესი — საზოგადოების წევრობიდან გარიცხვა.

8. სოფლის მოსახლეობაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფართო განვითარების მიზნით და ამისათვის სათანადო მატერიალური ბაზის შესაქმნელად, საზოგადოების წევრებად მიიღებიან იურიდიული პირები — კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამომხმარებლო კოოპერაციის რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული კავშირები, „საქსოფლტექნიკისა“ და სხვა სასოფლო ორგანიზაციები.

იურიდიული პირები საზოგადოების წევრებად მიიღებიან „კოლმეურნის“ შესაბამისი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, მათი შუამდგომლობის საფუძველზე.

შუამდგომლობას საზოგადოების წევრად კოლმეურნეობებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირების მიღების შესახებ აღძრავენ ამ ორგანიზაციების გამგეობები, ხოლო საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო ორგანიზაციებისა — მათი ხელმძღვანელები.

9. საზოგადოების იურიდიული წევრები მოვალენი არიან:

— მოისმინონ ანგარიშები ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს საქმიანობის შესახებ;

— მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების საბჭოების მიერ მოწყობილ სხვადასხვა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ-მასობრივ ღონისძიებებში;

— მონაწილეობა მიიღონ თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით საზოგადოების რაიონულ, საოლქო და რესპუბლიკურ კონფერენციებში;

— საზოგადოების საბჭოებთან ერთად თავიანთი ფიზკულტურის კოლექტივისათვის ჩაატარონ საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მოსამზადებელი სემინარები;

— საუკეთესო აქტივისტებისა და სპორტსმენების დასაჯილდოებლად დააწესონ საკუთარი პრიზები, სიგელები და ალმები;

— აქტიურად დაეხმარონ ფიზკულტურის კოლექტივსა და საზოგადოების რაიონულ საბჭოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნაში;

— მონაწილეობა მიიღონ სასოფლო ადგილებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე გამოფენების, კონკურს-დათვალიერებების მოწყობასა და ჩატარებაში;

— გამოყონ სპორტული ნაგებობების მშენებლობისათვის დადგენილი წესით მიწის ნაკვეთები და მიიღონ მათ მშენებლობასა და მოწყობაში აქტიური მონაწილეობა; შეიძინონ სპორტული ფორმა, ინვენტარი და მოწყობილობა;

— ყოველწლიურად (არა უგვიანეს მიმდინარე წლის მეორე კვარტალისა) ვადაიხადონ დადგენილი საწევრო შესატანები.

IV. საზოგადოების სტრუქტურა.

ფიზიკური კულტურის კოლექტივი

10. საქართველოს პროფკავშირულ-კოოპერაციული სასოფლო სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის“ საფუძველს წარმოადგენს ფიზიკური კულტურის კოლექტივი, რომელიც იქმნება კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, სოფლის მეურნეობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებში, უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში და რომელიც აერთიანებს ყველა მსურველს იმეცადინონ ფიზიკურ კულტურასა და სპორტში, ტურიზმში, ნადირობასა და თევზჭერაში.

ფიზიკური კულტურის კოლექტივის რეგისტრაცია ხდება საზოგადოების რაიონულ საბჭოში.

11. სადაც მცირერიცხოვანი მუშა-მოსამსახურეებია, და ამის გამო იქ არ შეიძლება შეიქმნას ფიზიკური კულტურის კოლექტივი თავისი სექციებითა და გუნდებით, ფიზკულტურული მუშაობის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის ასეთი საწარმოებისა და დაწესებულებების ფიზკულტურელები საზოგადოების რაიონული საბჭოს რეკომენდაციით გაიგზავნებიან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და დაწესებულებების ფიზკულტურის კოლექტივებში, რომელთა ბაზაზეც იქმნება ფიზკულტურის გაერთიანებული კოლექტივები.

12. ფიზკულტურის კოლექტივს, რომელიც მასობრივად ჩააბამს სოფლის მშრომელებსა და მოსწავლეებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სისტემატურ მეცადინეობაში, მიაღწევს მაღალ სპორტულ შედეგებს და რომელსაც აქვს აუცილებელი სპორტული ბაზა, დადგენილი წესის მიხედვით შეიძლება მიენიჭოს „სპორტული კლუბის“ საპატიო წოდება.

13. ფიზიკური კულტურისა და სპორტის კოლექტივისა და სპორტული კლუბის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს საზოგადოების წევრთა საერთო კრება, რომელიც მოეწყობა კვარტალში ერთხელ მაინც. კრება უფლებამოსილია, თუ მის მუშაობაში მონაწილეობას იღებს. საზოგადოების წევრთა არანაკლებ ნახევრისა.

საანგარიშო-საარჩევნო კრება უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს საზოგადოების წევრთა ორი მესამედი.

14. საანგარიშო-საარჩევნო კრება ისმენს და იხილავს ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს ანგარიშს, სარევიზიო კომისიის მოხსენებას და იღებს დადგენილებას ანგარიშის შესახებ. ირჩევს ღია კენჭისყრით, ორი წლის ვადით ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს და საზოგადოების რაიონული კონფერენციის დელეგატებს.

ვადამდე არჩევნები შეიძლება ჩატარდეს კოლექტივის საზოგადოების წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით, ანდა ზემდგომი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით.

ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო ირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და ანაწილებს ფუნქციებს საბჭოს დანარჩენ წევრებს შორის.

15. ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო მუშაობს საზოგადოების რაიონული საბჭოსა და ფიზიკური კულტურის და სპორტის კომიტეტის ხელმძღვანელობით.

16. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბრიგადებში, ფერმებში, სახელოსნოებში, განყოფილებებში და ა. შ. იქმნება ძირეული ფიზკულტურული ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ ფიზკულტურის კოლექტივის ხელმძღვანელობით.

საწარმოო უბნებზე, ბრიგადებში, განყოფილებებში და ა. შ. პროფჯგუფხელთა დასახმარებლად საერთო კრება ირჩევს ფიზკულტურულ ორგანიზატორს (ფიზორგს).

17. სპორტის ცალკეულ სახეობებში სასწავლო სპორტული მუშაობის ორგანიზებისათვის იქმნება სექციები სპორტის სახეობათა მიხედვით, რომელთა მუშაობის ხელმძღვანელობისათვის სექციის საერთო კრებაზე ღია კენჭისყრით ირჩევა ბიურო, ბიურო პასუხისმგებელია თავისი საქმიანობისათვის სექციის წევრთა საერთო კრებისა და ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს წინაშე.

სექციებში ყალიბდება ჯგუფები და გუნდები, რომლებიც ღია კენჭისყრით ირჩევენ ჯგუფის მამასახლისს ან გუნდის თავს.

18. ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს ძირითადი ამოცანაა:

— საზოგადოების წევრთა აღზრდა კომუნიზმის მშენებელთა მორალური პრინციპების სულისკვეთებით;

— მშრომელთა და მოსწავლე ახალგაზრდობის ჩაბმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის, ტურიზმის მეცადინეობებში, საწარმოო ტანვარჯიშის, სადირობის, თევზჭერისა და სხვა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ-მასობრივ ღონისძიებათა ორგანიზება;

— საერთო ფიზიკური მომზადების სექციებისა და ჯგუფებისადმი, სპორტული და ტურისტული სექციებისა და გუნდებისადმი ხელმძღვანელობა;

— სპარტაკიადების, შეჯიბრებების, ფიზკულტურული ზეიმების, ტურისტული გადასვლებისა და სხვა სპორტულ ღონისძიებათა ჩატარება;

— ფიზკულტურელებისა და სპორტსმენებისადმი სამედიცინო კონტროლის დაწესება;

— მშდ ნიშნოსნების, „სსრკ ტურისტის“ და თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადება;

— საზოგადოებრივ საწყისებზე სპორტულ ნაგებობათა და ბაზების მშენებლობის ორგანიზაცია საწარმოებისა და დაწესებულებების სახსრების გამოყენებით;

— სპორტული ინვენტარის შენახვის უზრუნველყოფა, მისი გამოყენებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრების ეკონომიური ხარჯვა;

— საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრებისა და აქტივის მომზადება;

19. ფიზკულტურის კოლექტივებისა და სპორტული კლუბების მუშაობის ხელმძღვანელობისათვის რაიონებში იქმნება საზოგადოების რაიონული საბჭოები.

საზოგადოების რაიონული საბჭო

20. საზოგადოების რაიონული ორგანიზაციის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს კონფერენცია, რომელიც მოიწვევა ორ წელიწადში ერთხელ და ითვლება უფლებამოსილად, თუ მასში მონაწილეობს ფიზკულტურის კოლექტივების, სპორტული კლუბების მიერ არჩეულ დელეგატთა და იურიდიულ წევრ-წარმომადგენელთა ორი მესამედი.

აღნიშნულ ორგანიზაციაში შემავალ საზოგადოების წევრთა ერთი მესამედის თხოვნით ან საზოგადოების ზემდგომი ორგანიზაციების გადაწყვეტილებით შეიძლება მოწვეულ იქნეს რიგგარეშე კონფერენცია.

21. კონფერენციაზე ფიზკულტურის კოლექტივებისა და სპორტული კლუბების წარმომადგენლობის ნორმებს აწესებს საზოგადოების რაიონული საბჭო. საზოგადოების იურიდიული წევრები კონფერენციაზე აგზავნიან ერთ წარმომადგენელ-დელეგატს.

22. რაიონული კონფერენცია:

— მოისმენს და განიხილავს საზოგადოების რაიონული საბჭოსა და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს;

— განიხილავს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ამოცანებს.

— აირჩევს ღია კენჭისყრით საზოგადოების რაიონულ საბჭოსა და სარევიზიო კომისიას;

— აირჩევს ღია კენჭისყრით შესაბამისი ზემდგომი საბჭოების მიერ დადგენილ წარმომადგენელთა ნორმების მიხედვით სპორტული საზოგადოების საოლქო, რესპუბლიკური კონფერენციების დელეგატებს.

კონფერენციებს შორის პერიოდში საზოგადოების მუშაობას რაიონში ხელმძღვანელობს რაიონული საბჭო, რომელიც იკრიბება არანაკლებ ექვს თვეში ერთხელ და ითვლება უფლებამოსილად საბჭოს წევრთა ორი მესამედის მონაწილეობის შემთხვევაში.

მიმდინარე სამუშაოს შესასრულებლად რაიონული საბჭო ღია კენჭისყრით ირჩევს პრეზიდიუმს 7-9 კაცის რაოდენობით, რაიონული საბჭოს თავმჯდომარისა და პრეზიდიუმის წევრთა შემადგენლობით;

23. რაიონული საბჭოს პრეზიდიუმი:

— რეგულარულად მოახსენებს პლენუმს — პლენუმებს შორის ჩატარებული მუშაობის შესახებ;

— ხელმძღვანელობს რა კონფერენციის გადაწყვეტილებით, განიხილავს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების პრობლემებს და ახორციელებს მიღებულ დადგენილებებს;

— შეიმუშავებს და ამტკიცებს ფიზკულტურულ-სპორტულ ღონისძიებებს, სამუშაო გეგმებს, კალენდარულ გეგმებსა და დებულებებს;

— ხელმძღვანელობს ფიზიკური კულტურის კოლექტივებს, სპორტულ კლუბებს, ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებსა და სექციებს, ამოწმებს მათს საქმიანობას, უწევს მათ დახმარებას, ისმენს მათს ანგარიშებს, მოხსენებებს და ინფორმაციებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ატარებს შეჯიბრებებს რაიონული საბჭოს პირველობაზე, ფიზკულტურულ ზეიმებს, სპორტულ თამაშებს, სპარტაკიადებს, მოსავლის აღებისადმი მიძღვნილ სპორტულ დღეებსა და სხვა მასობრივ ფიზკულტურულ-სპორტულ და გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს;

— ამზადებს მშდ ნიშნოსნებს, თანრიგოსნებსა და მაღალკვალიფიციურ სპორტსმენებს;

— აჯილდოვებს სპორტსმენებს — შეჯიბრებებში გამარჯვებულებს, აქტივისტებს, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკებს, ფიზკულტურის კოლექტივებს, სპორტულ კლუბებსა და ორგანიზაციებს;

— აკომპლექტებს საზოგადოების რაიონული საბჭოს ნაკრებ გუნდებს;

— ეწევა ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდას, განაზოგადებს და პოპულარიზაციას უკეთებს საზოგადოების კოლექტივების მუშაობის საუკეთესო გამოცდილებას, ზრუნავს ფიზკულტურულ-სპორტულ საკითხებზე ლიტერატურის გამოსაცემად, გამოსცემს ბიულეტენებსა და საზოგადოების საცნობაროებს;

— ატარებს მუშაობას ფიზკულტურული კადრების (მწვრთნელების, ინსტრუქტორების, სპორტული მსაჯების) მოსამზადებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ხელმძღვანელობს მათს საქმიანობას;

— დადგენილი წესით აფორმებს მშდ ნიშნოსნებსა და თანრიგოსან სპორტსმენებს, საზოგადოებრივ მწვრთნელებს, სპორტულ მსაჯებსა და ინსტრუქტორებს, ამტკიცებს რეკორდებსა და ეწევა ფიზკულტურული ორგანიზატორების, რაიონული საბჭოს სპორტული მუშაობის აღრიცხვას;

— ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად ახორციელებს ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების სამედიცინო მომსახურებას;

— ეწევა სპორტული ბაზების მშენებლობას, იძენს სპორტულ ინვენტარსა და მოწყობილობას;

— ამტკიცებს ფიზკულტურის კოლექტივებისა და სპორტული კლუბების ხარჯთაღრიცხვებს, ადგენს საზოგადოების რაიონული საბჭოს ხარჯთაღრიცხვას;

— რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში შეაქვს განსახილველად ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის საკითხები;

— ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საერთო მდგომარეობაზე ანგარიშვალდებულია კონფერენციის, საზოგადოების საოლქო და ცენტრალური საბჭოს წინაშე.

V. საზოგადოების საოლქო საბჭო

24. საზოგადოების უმაღლეს ორგანოს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ვტონომიურ ოლქში წარმოადგენს კონფერენცია, რომელიც მოიწვევა საოლქო საბჭოს მიერ ორ წელიწადში ერთხელ და უფლებამოსილად ითვლება, თუ მასში მონაწილეობს გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე დელეგატთა არანაკლებ ორი მესამედისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოლქო კონფერენციაზე რაიონების წარმომადგენლობითი ნორმები განისაზღვრება შესაბამისი საბჭოს მიერ.

25. საოლქო კონფერენცია:

— ისმენს და იხილავს საზოგადოების საოლქო საბჭოს ანგარიშს და სარევიზიო კომისიის მოხსენებას;

— ირჩევს ფარული კენჭისყრით საზოგადოების საოლქო საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წევრებსა და წევრობის კანდიდატებს კონფერენციის მიერ დადგენილი რაოდენობით ორი წლის ვადით. ირჩევს ფარული კენჭისყრით რესპუბლიკური კონფერენციის დელეგატებს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მიერ განსაზღვრული წარმომადგენლობითი ნორმების მიხედვით.

— არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ ხმების უმრავლესობას.

26. კონფერენციებს შორის პერიოდში საზოგადოების მუშაობას ავტონომიურ რესპუბლიკაში, ოლქში სელმძღვანელობს საოლქო საბჭო, რომელიც იწვევს პლენუმებს ექვს თვეში ერთხელ მაინც და უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებანი საბჭოს წევრთა არანაკლებ ორი მესამედის დასწრების შემთხვევაში.

საბჭოს წევრთა განთესვის შემთხვევებში მათი შემადგენლობა ივსება კანდიდატთა რიცხვიდან.

მიმდინარე სამუშაოების შესასრულებლად ღია კენჭისყრით ირჩევენ პრეზიდიუმს 7-11 კაცის რაოდენობით საოლქო საბჭოს თავმჯდომარისა და პრეზიდიუმის წევრთა შემადგენლობით.

საბჭოს პრეზიდიუმი პლენუმებს შორის პერიოდში ჩატარებული მუშაობის შესახებ მოახსენებს პლენუმებს.

27. საზოგადოების საოლქო საბჭოს პრეზიდიუმი პლენუმებს შორის პერიოდში:

— ხელმძღვანელობს საზოგადოების მთელ მოღვაწეობას ასსრ, ოლქში.

— ხელმძღვანელობს საზოგადოების რაიონული საბჭოებისა და ფიზკულტურის კოლექტივების მუშაობას, ამაღლებს მათს ორგანიზატორულ როლს თვითმოქმედ ფიზკულტურულ საქმიანობაში:

— ხელმძღვანელობს სასწავლო-სპორტულ მუშაობას ფიზკულტურულ კოლექტივებსა და რაიონებში, უზრუნველყოფს სპორტის წამყვან სახეობათა განვითარებას;

—ახორციელებს კონტროლს მშდ ნიშნოსნებისა და თანრიგოს სპორტსმენთა მომზადებისადმი, აწარმოებს საზოგადოების რეკორდებისა და მიღწევების აღრიცხვას.

— ეწევა მუშაობას ფიზკულტურული კადრების მომზადების, შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის.

— განაზოგადებს და ავრცელებს საზოგადოების საუკეთესო რაიონული საბჭოების, ფიზკულტურის კოლექტივებისა და აქტივისტების მუშაობის გამოცდილებას;

— ეწევა ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდას;

— შეიმუშავებს და ამტკიცებს გეგმებს, ხარჯთაღრიცხვებს, სპორტულ მასობრივ ღონისძიებათა ჩატარების ვადებს, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების პერსპექტიულ გეგმებს და ზრუნავს მათი შესრულებისათვის;

— აწარმოებს მუშაობას იურიდიულ პირებთან — საზოგადოების წევრებთან სპორტული ნაგებობების მშენებლობის ორგანიზებაში;

— ისმენს ანგარიშებს საზოგადოების რაიონული საბჭოებისა და ფიზკულტურის კოლექტივების მუშაობის შესახებ.

VI. საზოგადოების ცენტრალური საბჭო

28. საქართველოს პროფკავშირულ-კოოპერაციული ნებაყოფლობითი სასოფლო სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის" უმაღლესი ორგანოა რესპუბლიკური კონფერენცია. კონფერენცია მოიწვევა ოთხ წელიწადში ერთხელ და უფლებამოსილად ითვლება, თუ მის მუშაობაში მონაწილეობას იღებს კონფერენციაზე არჩეულ დელეგატთა საერთო რაოდენობის ორი მესამედი.

კონფერენციებს შორის პერიოდში საზოგადოების მუშაობას რესპუბლიკაში ხელმძღვანელობს ცენტრალური საბჭო, ხოლო პლენუმებს შორის პერიოდში მისი პრეზიდიუმი.

კონფერენციაზე წარმომადგენლობის ნორმებს აწესებს ცენტრალური საბჭო.

საზოგადოების რესპუბლიკური კონფერენცია:

— ისმენს და იხილავს ცენტრალური საბჭოსა და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს;

— იხილავს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ძირითად პრობლემებს და სახავს ღონისძიებებს მათი შემდგომი განვითარებისათვის;

— რესპუბლიკურ კონფერენციაზე ფარული კენჭისყრით ირჩევენ საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს, სარევიზიო კომისიას ოთხი წლის ვადით და პროფკავშირთა სპორტული საზოგადოებების საკავშირო საბჭოსა და სასოფლო სპორტული საზოგადოებების ცენტრალური საბჭოს კონფერენციების დელეგატებს;

29. საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პლენუმი მოიწვევა წელიწადში ორჯერ და უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები საბჭოს წევრთა არანაკლებ ორი მესამედის დასწრებისას.

მიმდინარე სამუშაოების შესასრულებლად ცენტრალური საბჭოს პლენუმი:

— ირჩევს ღია კენჭისყრით პრეზიდიუმს (7-11 კაცი) თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის. პრეზიდიუმის წევრების შემადგენლობით;

— ხელმძღვანელობს რა კონფერენციის გადაწყვეტილებებით, იხილავს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების პრობლემებს, ზრუნავს მიღებულ დადგენილებათა განხორციელებისათვის.

30. საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი:

— პლენუმებს შორის პერიოდში ჩატარებული მუშაობის შესახებ რეგულარულად მოახსენებს პლენუმებს;

— ადგენს და ამტკიცებს სამუშაო და ფიზკულტურულ-სპორტულ ღონისძიებათა კალენდარულ გეგმებს;

— ხელმძღვანელობს რაიონული და საოლქო საბჭოების, საზოგადოების ცენტრალური საბჭოსადმი დაქვემდებარებული სპორტული კლუბების, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების მუშაობას, ისმენს საზოგადოების რაიონული, საოლქო საბჭოების, სპორტული კლუბების, სპორტული სკოლებისა და ფიზკულტურის კოლექტივების ანგარიშებს, ამოწმებს მათს საქმიანობას;

— განსაზღვრავს დადგენილი წესით ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებს;

— ატარებს სპორტულ შეჯიბრებებს საზოგადოების პირველობაზე, ფიზკულტურულ ზეიმებს, სპორტულ თამაშებს, სპარტაკიადებსა და სხვა ფიზკულტურულ-სპორტულ და გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს;

— აჯილდოებს სპორტსმენებს — შეჯიბრებებში გამარჯვებულებს, აქტივისტებს, ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებს, ფიზკულტურის კოლექტივებს, სპორტულ კლუბებსა და ორგანიზაციებს;

— აკომპლექტებს საზოგადოების ნაკრებ გუნდებს და ამზადებს მათ შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის;

— ეწევა ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფართო პროპაგანდას, განაზოგადებს და პოპულარიზაციას უკეთებს მუშაობის მოწინავე გამოცდილებას;

— გამოსცემს და ავრცელებს სპორტულ ლიტერატურას;

— აწარმოებს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის აღრიცხვას, ამტკიცებს რეკორდებსა და სპორტსმენთა საუკეთესო მიღწევებს;

— ახორციელებს ფიზკულტურული კადრების შერჩევას, აღზრდასა და განაწილებას, აწარმოებს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას;

— ანაწილებს სპეციალურ, ხელფასისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ფონდებს, იხილავს და წარადგენს დასამტკიცებლად დადგენილი წესების მიხედვით საზოგადოების ადმინისტრაციული პერსონალის შტატებს, ამტკიცებს შტატებს შრომის გეგმის ფარგლებში.

— აშენებს და ხსნის სპორტულ ნაგებობებს, აწარმოებს კაპიტალურ შეკეთებას, რემონტს, რეკონსტრუქციას;

— იძენს და ამარაგებს მის დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციებს სპორტული ფორმით, ინვენტარითა და მოწყობილობით.

სარევიზიო კომისიები

31. საზოგადოების ყველა საბჭოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას კონტროლს უწევს შესაბამისი სარევიზიო კომისია.

სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იქნენ საზოგადოების ის წევრები, რომლებსაც უკავიათ ხელმძღვანელი თანამდებობა აღნიშნულ საბჭოში.

32. თავისი შემადგენლობიდან სარევიზიო კომისია ირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს. სარევიზიო კომისია აკონტროლებს საზოგადოების კუთვნილი სახსრების სწორად ხარჯვასა და მის ფასეულობათა დანიშნულებისამებრ გამოყენებას, აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობას, საზოგადოების საბჭოებში შემოსულ წერილებსა და განცხადებებზე რეაგირებას, ამოწმებს საწევრო შენატანების შემოსავალს.

რაიონული, საოლქო და ცენტრალური საბჭოების სარევიზიო კომისიები ვალდებული არიან წლის განმავლობაში აუცილებლად შეამოწმონ და ჩაატარონ შესაბამისი საბჭოს რევიზია.

33. სარევიზიო კომისიები თავიანთი მუშაობის შესახებ ანგარიშვალდებული არიან შესაბამისად საზოგადოების რაიონული, საოლქო და რესპუბლიკური კონფერენციების წინაშე, რომლებსაც ანგარიშს აბარებენ თავიანთი საქმიანობის შესახებ.

VII. საზოგადოებრივი განყოფილებები, სექციები, მეთოდური საბჭოები და კომისიები

34. საზოგადოების ცენტრალური, საოლქო და რაიონული საბჭოები ზრუნავენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისათვის, წყვეტენ მიმდინარე საკითხებს ფართო საზოგადოებრივი აქტივის მონაწილეობით, რისთვისაც ცენტრალურ, საოლქო და რაიონულ საბჭოებთან იქმნება საზოგადოებრივი განყოფილებები, სექციები სპორტის სახეობების მიხედვით, მეთოდური საბჭოები, მშდ კომისიები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ ნებაყოფლობითობის, თვითმოქმედებისა და ინიციატივის საფუძველზე.

35. საზოგადოებრივი განყოფილებები და სექციები, მეთოდური საბჭოები და მშდ კომისიები იქმნება ფართო საზოგადოებრივი აქტივის წარმომადგენელთა რიცხვიდან, ფიზკულტურის სპეციალისტებისაგან და მუშაობენ საზოგადოების ცენტრალური, საოლქო, რაიონული საბჭოებისა და მათი პრეზიდიუმების უშუალო ხელმძღვანელობით.

36. საზოგადოების ცენტრალური, საოლქო და რაიონული საბჭოების სექციები სპორტის სახეობების მიხედვით ზრუნავენ სპორტის შესაბამისი სახეობის განვითარებისათვის.

სექციის წევრები თავიანთი შემადგენლობიდან ერთი წლის ვადით ირჩევენ თავმჯდომარეს, მდივანსა და პრეზიდიუმის წევრებს, ქმნიან მწვრთნელთა საბჭოებსა და მსაჯთა კოლეგიებს.

VIII. საზოგადოების სახსრები

37. საქართველოს პროფკავშირულ-კოოპერაციული ნებაყოფლობითი საზოგადო სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის“ სახსრები შედგება შემდეგი წყაროებისაგან:

— საზოგადოების ინდივიდუალური წევრების საწევრო შენატანების, პროფკავშირული ბიუჯეტის, საზოგადოების იურიდიულ წევრთა ანარიცხების,

ფასიანი სპორტულ ღონისძიებათა, სპორტულ ნაგებობათა ექსპლოატაციისა და სხვა შემოსავლისაგან.

38. საზოგადოების ინდივიდუალური წევრებისათვის საწევრო შენატანები განისაზღვრება წელიწადში 30 კაპიკის ოდენობით.

საზოგადოების ინდივიდუალური წევრებისაგან აკრეფილი საწევრო შენატანები რჩება პროფკავშირულ ორგანიზაციებში და ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოსა და ადგილკომის გადაწყვეტილებით ხმარდება მასობრივ ფიზკულტურულ-სპორტულ და გამაჯანსაღებელ მუშაობას, სპორტული ფორმისა და ინვენტარის შეძენას.

39. საზოგადოების იურიდიულ წევრთა შესასვლელი შენატანები განისაზღვრება 5 მანეთის ოდენობით.

საზოგადოების იურიდიულ წევრთა ყოველწლიური საწევრო შენატანები განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

— კოლმეურნეობებისათვის — საერთო წლიური შემოსავლის ყოველ სრული და არასრული 10 ათასი მანეთიდან — 30 მანეთი;

— საბჭოთა მეურნეობებისათვის — საერთო წლიური შემოსავლის ყოველი სრული და არასრული 10 ათასი მანეთიდან — 10 მანეთი.

— სამომხმარებლო საზოგადოებებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ორგანიზაციებისათვის — 100 მანეთი;

— რაიონული, საოლქო და რესპუბლიკური სამომხმარებლო კავშირებისათვის — 300 მანეთი.

40. საზოგადოების სახსრები ხმარდება ფიზკულტურულ-მასობრივი და სასწავლო სპორტული მუშაობის, გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ჩატარებას, ფიზკულტურული კადრების მომზადებას, სპორტული ფორმისა და ინვენტარის შეძენას, სპორტული ბაზების მშენებლობასა და მოწყობას.

41. საზოგადოების ცენტრალური საბჭოს ბიუჯეტს ამტკიცებს საქართველოს პროფსაბჭო, საოლქო საბჭოებისას — ასსრ, საოლქო პროფსაბჭოები, ხოლო რაიონული საბჭოებისას — პროფკავშირების შესაბამისი რაისაბჭოები ან კომიტეტები და საზოგადოების ცენტრალური საბჭო.

42. ფიზკულტურის კოლექტივების დაფინანსებას ახორციელებს შესაბამისი პროფკავშირული ორგანიზაციის ადგილობრივი კომიტეტი, ხოლო საკოლმეურნეო ფიზკულტურული კოლექტივებისას — კოლმეურნეობის გამგეობა მათ მიერ გამოყოფილი სახსრებიდან.

43. საზოგადოების რაიონული, საოლქო და რესპუბლიკური საბჭოები ფულად სახსრებს ინახავენ სახელმწიფო ბანკში მიმდინარე ანგარიშზე. კრედიტების განმკარგულებლად (დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში) ითვლება საზოგადოების შესაბამისი საბჭოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის შტატიანი მოადგილე.

საზოგადოების საოლქო (ასსრ) საბჭოებში სახსრები ცენტრალიზებულია და ეს უკანასკნელი დაწესებულ პროცენტებს ურიცხავს თავის რაიონულ და ცენტრალურ საბჭოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის დანარჩენი რაიონების სახსრები ცენტრალიზებულია საზოგადოების ცენტრალურ საბჭოში და ეს უკანასკნელი დაწესებულ პროცენტს (50-დან 80%-მდე) ურიცხავს შესაბამის რაიონულ საბჭოს.

IX. საზოგადოების უფლებები

44. საქართველოს პროფკავშირულ-კოოპერაციული ნებაყოფლობითი სასოფლო სპორტული საზოგადოება „კოლმეურნე" სარგებლობს ყველა უფლებით, რომლებიც კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ ნებაყოფლობით საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

45. საზოგადოების ცენტრალური, საოლქო და რაიონული საბჭოები წარმოადგენენ იურიდიულ პირებს და უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით შეისყიდონ, იჯარით გასცენ ფასეულობანი, ააშენონ და შეაკეთონ სპორტული ნაგებობანი, სსრ კავშირის საკრედიტო დაწესებულებებში გახსნან და დახურონ მიმდინარე ანგარიშები, აწარმოონ მათში ფულადი ოპერაციები, მიიღონ და გაათავისუფლონ მუშა-მოსამსახურენი, დადონ ხელშეკრულებები და შეთანხმებები, გასცენ მინდობილობები და ვალდებულებები, დაიცვან თავიანთი ინტერესები სასამართლო ორგანოებსა და არბიტრაჟში.

საზოგადოების საბჭოებს აქვთ დადგენილი ნიმუშის მრგვალი ბეჭედი და შტამპი.

ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებზე ხელის მოწერის უფლება ენიჭებათ მხოლოდ კრედიტების განმკარგულებლებს ან იმ პირებს, რომელთაც კრედიტების განმკარგულებლისაგან აქვთ მინდობილობა.

46. საზოგადოებას აქვს თავისი დროშა, ემბლემა, ალმები, სიგელები, დიპლომები, სპორტული ჟეტონები, სამკერდე ნიშნები და სპორტული ფორმა საზოგადოების წევრებისათვის.

47. საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლა შეუძლია საქართველოს პროფსაბჭოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტთან შეთანხმებით, მოქმედი დებულებების შესაბამისად.

90 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ საწარმოებისა და დაწესებულებების სიას, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებია იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, შემდეგი პუნქტი:

„149. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საქართველოს მარმარილოს ტრესტის ახალციხის აქატ-დიატომიტის მაღაროთსამმართველოს საუწყებო საცხოვრებელი სახლი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 24 დეკემბერი, № 742

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი — 76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 6 за 1975 год.

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/IV-76 წ. ქაღალდის ფორმატი 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 3, სააღრიცხვო თაბახი 3.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა № 151 უე 04168 ტირაჟი 1950

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა